

# შპს საზოგადოებრივი კოლეჯი მომავალი



პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის წესი

თბილისი 2016 წ

- პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლებისან პროფესიული განათლების IV ან V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.
- მოდულის განმახორციელებელი პირი არის პროფესიული განათლების მასწავლებელი.
- IV საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელ პროფესიული განათლების მასწავლებელს უფლება არ აქვს, ასწავლოს V საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

## **მუხლი 2. პროფესიული განათლების მასწავლებლის მიღების პირობები**

2.1. პროფესიული განათლების მასწავლებლის მიღება შესაძლებელია წერილობითი განცხადების და შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში დირექტორთან გასაუბრების შედეგების ან/და დირექტორის გადაწყვეტილებით.

2.2. დირექტორის გადაწყვეტილებით შესაძლოა გამოცხადდეს კონკურსიც.

2.3. პროფესიული განათლების მასწავლებლის მისაღებად, ვაკანტურ პოზიციაზე გამოცხადებული კონკურსის შესახებ დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს, განათავსებს ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას, ( ვებგვერდი) ბრძანებაში განისაზღვრება:

- ა) კონკურსანტების მიერ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა;
- ბ) დოკუმენტების წარმოდგენის ვადა და ადგილი;
- გ) კონკურსის შედეგების გამოცხადების ვადები;

2.4. კონკურსის შედეგების გამოცხადების შემდეგ, პროფესიული განათლების მასწავლებლის მიღება ფორმდება შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე. შრომითი ხელშეკრულების გასაფორმებლად პირმა უნდა წარმოადგინოს:

- წერილობითი განცხადება;
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ავტობიოგრაფია (CV);
- ერთი ფოტო სურათი ფორმით 3X4;
- განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი
- მუშაობის სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი (საჭიროების შემთხვევაში).

## **3. საკონკურსო კომისია**

3.1. საჭიროების შემთხვევაში, კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებით, დაწესებულების დირექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება საკონკურსო კომისია, რომელიც შედგება: კომისიის თავმჯდომარის, კომისიის მდივნისა და/ან კომისიის წევრისაგან.

3.2. საკონკურსო კომისიის მიერ, საჭიროების შემთხვევაში, დოკუმენტების განხილვის საფუძველზე დგება საკონკურსო კომისიის სხდომის ამსახველი ოქმი.

3.3. კონკურსანტების მიერ კონკურსის პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში საკონკურსო კომისია იღებს გადაწყვეტილებას კონკურსში მონაწილე პირთაგან ვინ შეიძლება გახდეს დაწესებულების პროფესიული განათლების მასწავლებელი, რაც ფორმდება კომისიის სხდომის ოქმის სახით და წარედგინება კოლეჯის დირექტორს შემდეგი რეაგირებისათვის.

3.5. კოლეჯის დირექტორი გასაუბრების შედეგების ან/და კონკურსის შემთხვევაში, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე გამოსცემს ბრძანებას შერჩეულ პროფესიულ მასწავლებლებლის სამსახურში აყვანასთან დაკავშირებით.

3.6. შრომითი/მომსახურების ხელშეკრულებები ფორმდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და დამსაქმებლის დამატებითი მოთხოვნების გათვალისწინებით;